პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო.

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и местхома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 2 (138) | სამშაბათი, 17 იანვარი, 1956 წ. | გამოცემის მეხუთე წელი | ფასი 20 კაპ.

ახალი წარმატებებით აღვნიშნოთ მიმდინარე საგამოცდო სესიები, კიდევ უფრო მივაღწიოთ აკადემიური წარმატების ხარისხობრივ ზრდას— ასეთია მთელი ჩვენი კოლექტივის საპატიო ამოცანა!

დაიწყო ზამთრის საგამოცდო სესიები

ერთი კვირაა დაიწყო ზამთრის საგამოცდო სესიები. ჯერ კიდევ გამოცდების დაწყებამდე სათანადო მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა ჩვენმა უნივერსიტეტმა. ყველა ფაკულტეტზე დროულად იქნა შედგენილი და გამოკრული საგამოცდო ცხრილები, სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ პროგრამებით ყველა იმ საგანში, რომელიც მათ ეკითხებათ. კაბინეტ-ლაბორატორიებში მათ უტარდებოდათ კონსულტაციები, ბიბლიოთეკა სათანადოდ უზრუნველყოფდა საჭირო ლიტერატურით — სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით.

როგორც ყოველთვის, ახლაც უკვე ჩატარებულ გამოცდებზე იმ სტუდენტებმა გამოიჩინეს თავი, რომლებიც მთელი სემესტრის მანძილზე გულმოდგინედ მუშაობდნენ, ესწრებოდნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ლექცია-სემინარებზე, იმთავითვე ემზადებოდნენ გამოცდებისათვის, დინჯად და ბეჯითად.

ცოტა როდია ისეთი სტუდენტი, რომლის ჩათვლის წიგნაკში ჯერ არცერთ საგამოცდო საგანში არ ჩაწერილა ხუთზე დაბალი ნიშანი, ეს წარმატება მათი დაუღალავი, თანმიმდევრული მუშაობის შედეგია. ასე რომ მუშაობენ, ამიტომაა, რომ ისინი სავსებით დარწმუნებული მიდიან გამოცდაზე, არ ეშინიათ მარცხის, სამართლიანი იმედი აქვთ, რომ კიდევ ახალი ხუთიანი ჩაიწერება ამ წიგნაკში.

მაგრამ ასეთი იმედით როდი მიდის გამოცდაზე ყველა სტუდენტი. ზოგჯერ ისეთებიც კი, რომლებიც ასე თუ ისე კარგ ნიშანს იღებენ, გამოცდის წინ ნერვიულობენ, ეშინიათ — ვაი თუ ვერ ვუპასუხოთო. განაგებიცაა: მართლაც და არ იციან მათ, თუ კონკრეტულად რა საკითხზე მოუწევთ პასუხის გაცემა, მაგრამ ერთი კი ცხადია: ახლა თითოეული გამოცდის წინ ყველაზე მეტად ისინი უფრო შფოთავენ, რომლებიც არარეგულარულად, შეუწყობლად ელოდნენ გამოცდებს, ხოლო ისინი, რომლებიც მთელი სემესტრის მანძილზე განიცდიდნენ გამოცდებისადმი პასუხისმგებლობას, ახლა ყველაზე მშვიდნი არიან, აუღელვებლად შედიან აუდიტორიაში, სადაც მათ მორიგი გამოცდა უნდა ჩააბარონ.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მომთხოვნელობა სტუდენტთა ცოდნის მიმართ, ბრძოლა გამოეცხადა ლიბერალიზმს. ყოველივე ამან უდავოდ კარგი შედეგი მოგვცა: გაიზარდა აკადემიური წარმატების ხარისხი, სტუდენტები მეტად შეეჩვივნენ დამოუკიდებელ მუშაობას. ამის შედეგად ისინი დამოუკიდებელ მეცნიერულ საკითხებსაც ამუშავებენ.

ყოველივე ეს ჩვენს ყურადღებას იქით წარმართავს, რომ სტუდენტის ცოდნისადმი მოთხოვნილების ზრდა კიდევ უნდა გავაძლიეროთ, ეს სწავლებაში ხელს შეუწყობს ხარისხის შემდგომ ზრდას.

მეორე მხრით, უნდა ვეცადოთ, რომ ზუსტად დავიცვათ გამოცდების ცხრილი, არ უნდა დავუშვათ, რომ სტუდენტი თვითნებურად არ ცხადდებოდეს გამოცდაზე დანიშნულ დღეს — იმ იმედით, რომ შემდეგ სხვა დღეს ჩააბარებს იგი ამ გამოცდას.

მიმდინარე საგამოცდო სესიების მაღალ დონეზე, მთელი მომთხოვნელობითა და ობიექტურობით ჩატარებით კიდევ უფრო უზრუნველყოფთ ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას.

სტუდენტთა ქალაქის სამკითხველოში

სტუდენტთა ქალაქში, სადაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების დიდი ნაწილი ცხოვრობს, იგრძნობა ზამთრის საგამოცდო სესიების დაწყება. გამოცდებისათვის მოსამზადებლად სათანადო პირობებია შექმნილი აქ მცხოვრები სტუდენტებისათვის. აქ არსებული ორი სამკითხველო, აგრეთვე თვითეული კორპუსის წითელი კუთხეები მნიშვნელოვნად არიან უზრუნველყოფილნი სტუდენტებისათვის საჭირო სახელმძღვანელოებით, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით.

მეხუთე კორპუსის სტუდენტთა სამკითხველო (ბიბლიოთეკარები ქს. დავლიანიძე და ე. სიხარულიძე) კარგად ემსახურება სტუდენტებს. საზამთრო სესიებთან დაკავშირებით გასული წლის 15 დეკემბრიდან ბიბლიოთეკის დირექციის გადაწყვეტილებით სამკითხველო გამოსასვლელ დღეებშიც მუშაობს: ყოველდღიურად, 13 საათის განმავლობაში სამკითხველო მომსახურებას უწევს უნივერსიტეტის იმ სტუდენტებს, რომლებიც სტუდქალაქში ცხოვრობენ.

პ. ფუბლაძე

გამოცდებს წარმატებით აბარებენ

დიდი გამოცოცხლება იგრძნობა ჩვენს უნივერსიტეტში ზამთრის საგამოცდო სესიებთან დაკავშირებით. სესიები ერთხელ კიდევ ამოწმებს სტუდენტების ცოდნასა და მომზადებას არჩეულ პროფესიაში.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტები მომზადებული შეხვდნენ ზამთრის სესიებს. გამოცდებისათვის მათს სერიოზულ და პასუხისმგებლობით მომზადებაზე მიუთითებს ის, რომ პირველი ორი გამოცდა მათ წარმატებით ჩააბარეს. ოცდახუთი სტუდენტიდან უმრავლესობამ შეფასება ფრიადი მიიღო. ფრიადოსნობას კვლავ ინარჩუნებენ ყოფილი ფრიადოსანი სტუდენტები — მ. ცქიტიშვილი, ა. სანებლიძე, თ. ჩხაიძე და სხვები.

მომზადებული შეხვდნენ გამოცდებს სხვა სტუდენტებიც გ. შეყრილაძე, გ. მეტრეველი, უ. ხოხიაშვილი, მ. ზაალიშვილი.

ჟურნალისტიკის განყოფილების მეორე კურსის სტუდენტები ეცდებიან ასევე წარმატებით ჩააბარონ შემდეგი საგნები.

ა. გელაშა

—მეხუთეკურსელები აბარებენ გამოცდებს—

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეომორფოლოგიის სპეციალობის V კურსის სტუდენტები მიმდინარე საგამოცდო სესიებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოემზადნენ.

ამ სესიებზე ისინი ძირითად სპეციალურ საგნებს აბარებენ და ამით კიდევ ერთხელ შეამოწმებენ ხუთი წლის მანძილზე სპეციალობაში მიღებულ ცოდნას.

პირველი გამოცდა მათ კავკასიის გეომორფოლოგიაში ჩაუტარდათ, სადაც სტუდენტთა უმრავლესობამ კარგი მომზადება და საგნის საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინა.

დოცენტმა შ. ყიფიანმა დამსახურებული ფრიადით შეაფასა ჟ. წერეთლის ამომწურავი პასუხი, რომელმაც ილაპარაკა საგამოცდო ბილეთში შეტანილ ყველა საკითხზე.

ჩვენს შეკითხვაზე — თუ ვინ გამოავლინა კარგი მომზადება აღნიშნულ საგანში — გამომცდელმა დოც. შ. ყიფიანმა დაგვისახელა ც. მაისურაძე, მ. სალუქვაძე, თ. პაპიაშვილი, რ. ტაბიძე, თ. წიქარიშვილი და სხვ.

ეს ის სტუდენტებია, რომლებიც მთელი სემესტრის მანძილზე ბეჯითად მუშაობდნენ, სისტემატურად ესწრებოდნენ ლექციებს, სწავლობდნენ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას.

აღნიშნული სპეციალობის სტუდენტები ახლა მორიგი გამოცდისათვის ემზადებიან, იმეორებენ და ასისტემებენ მთელი სემესტრის მანძილზე შესწავლილ მასალას, რათა მაღალი აკადემიური მაჩვენებლები მოიპოვონ მიმდინარე საგამოცდო სესიაზე ჩასაბარებელ სხვა საგნებშიც.

სურათზე: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ჟ. წერეთელი გამოცდას აბარებს დოც. შ. ყიფიანს.

მისაბაძი კოლექტივი

არა ერთი და ორი წელი მიმუშავია ისტორიის ფაკულტეტზე, წელსაც ამ ფაკულტეტზე კლასიკურ ენებში ჯგუფების დაყოფის შედეგად მე შემხვდა II კურსის ერთ-ერთი განაყოფი. ამ ჯგუფში შესვლისას გამოირკვა, რომ გასულ წელს იქ ხელმძღვანელის ავადმყოფობის გამო I კურსის პროგრამა ამოწურული არ იყო. ამიტომ, ცხადი იყო, ამ ჯგუფში მუშაობა გარკვეული სიძნელეების წინაშე მაყენებდა. საჭირო იყო მათი გადალახვა.

საჭირო იყო განვლილი მასალის გამეორება, თანაც კარგი გამეორება და, ამასთან, ახალი საპროგრამო მასალის დაძლევა, მაგრამ შეძლებდა თუ არა ამას ჯგუფი? — ვეკითხებოდი ჩემ თავს.

ჯგუფში 12 სტუდენტი ირიცხებოდა, ამათგან ერთი გარიცხა, ხოლო ერთმაც თავისი სურვილით დასტოვა ფაკულტეტი. დამრჩა 10-კაციანი ჯგუფი. მათთან მუშაობისათვის სემესტრის მანძილზე მე არ ვიშურებდი არც ენერგიას, არც ხალისს და არც ინტერესს. კიდევ მეტიც: ყველაზე სასიამოვნო ჩემთვის სწორედ ის დღეები იყო, როცა ამ ჯგუფში მქონდა ლექციები. სტუდენტები მომყვნენ მუშაობაში, დაინტერესდნენ და ამ ინტერესისა და ბეჯითობის შედეგად მალე გამოასწორეს ჩამორჩენა. გარდა პროგრამით გათვალისწინებული მასალისა მათ ლათინურ ენაზე ხშირად ვაწვდიდი ანტიკური აზროვნების წარმომადგენლების: ციცერონის, სენეკას, ევრიპიდეს, ოვიდიუსის, კატონისა და სხვების ცალკეულ ბრძნულ გამონათქმებს. სტუდენტები ბეჯითად სწავლობდნენ ყოველივე ამას. მათმა ენერგიულობამ და შრომისმოყვარეობამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. ფაკულტეტის დეკანატიც დიდად გვეხმარებოდა: ხშირად გვესწრებოდნენ ლექციებზე, გვეკითხებოდნენ სტუდენტთა მუშაობის, ლექციებზე დასწრებისა და სხვათა შესახებ.

გავიდა სემესტრი. დაიწყო გამოცდები. ამ ჯგუფს ლათინურ ენაში გამოცდა დანიშნული ჰქონდა იანვრის ოცდასამისათვის, მაგრამ სტუდენტებმა ჩემთან შეთანხმებით დეკანატს პირველ სასესიო საგნად გადმოატანინეს იგი. გამოცდისათვის ორი დღე იყო დანიშნული, მაგრამ ყველამ პირველ დღეს არჩია მოსვლა. ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ შემოვიდოდა გამოცდაზე პირველად. ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სიამაყით მიცემდა გული, კიდევ მეტ სიყვარულს ვგრძნობდი მათდამი. სამშობლოსაც სწორედ ასეთები სჭირდება, ვფიქრობდი ჩემთვის. გამოცდა ყველამ კარგად ჩამაბარა, მათგან ხუთმა სტუდენტმა საუკეთესო ცოდნით ფრიადი დაიმსახურა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: მ. გოგოლაძე, ც. ბარბაქაძე, ნ. ლომსაძე, და ც. ინჯია. ეს ინჯია ხომ სწორედ სამაგალითო სტუდენტის განსახიერებაა: წყნარი და დინჯი.

დეკანატის დახმარებით და ჯგუფის ინტენსიური მუშაობით სიძნელე, რომელიც დასაწყისში მე მაეჭვებდა, დაძლეულ იქნა.

ნ. ჭათიაშვილი

საჭიროა შეიქმნას სახელმძღვანელო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში

ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების V კურსზე ჯერ კიდევ დეკემბრის თვეში დაიწყო სამთლიო სასესიო საგნების ჩაბარება.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში სტუდენტთა დიდი ნაწილი გამოცდებზე საკმაოდ საფუძვლიანი მომზადებით გამოცხადდა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს — გ. გელოვანმა, გ. ბეგეჯკორმა, ვ. ჯავახაძემ და სხვ. მათ გამოამჟღავნეს არა მხოლოდ ამ საგნის შესასწავლად საჭირო ლიტერატურის, არამედ პირველწყაროების — ქართული ჟურნალებისა და გაზეთების კარგი ცოდნაც.

მიუხედავად კურსის საერთო წარმატებისა, ზოგიერთი სტუდენტი პირველ გამოცდას სპეციალურ საგანში ნაკლებად მომზადებული შეხვდა (გ. ხამხოშაძე, ზ. ქაჯაია და ჯ. ჩარკვიანი).

აქვე გვინდა ერთ გარემოებასაც გავუსვათ ხაზი: სტუდენტები, რომლებიც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კურსს აბარებენ, ერთგვარი სიძნელეების წინაშე დგანან: XIX საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდული პრესის ირგვლივ მათ აქვთ გარკვეული ზანდა-თის ლიტერატურა. რაც შეეხება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდული პრესის შესახებ, რომელიც უფრო მრავალფეროვანია თავისი ხასიათით, თითქმის არავითარი ლიტერატურა არ გაგვაჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ წერილებს, რომლებიც მოძველებულიც არიან და ზოგჯერ მცდარ შეხედულებებსაც შეიცავენ. ყოველივე ეს მეტად აძნელებს სტუდენტების მუშაობას ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საფუძვლიანად შესწავლაში.

ეს გარემოება ფილოლოგიის ფაკულტეტისა და პირველ რიგში ჟურნალისტიკის კათედრის წინაშე სრული სერიოზულობით აყენებს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შექმნის აუცილებლობის საკითხს.

დოც. ი. მოსაშვილი

გეოგრაფიული ფაკულტეტის IV კურსის მე-17 ჯგუფმა პირველი გამოცდა ხალხთა მეურნეობის დაგეგმვაში ჩააბარა.

აღნიშნული ჯგუფის იმ სტუდენტებმა, რომლებიც სისტემატურად ესწრებოდნენ ლექციებს და სემინარულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, პროფ. ა. გოკიელის გამოცდა საინტერესოდ ჩააბარეს და ფრიადი შეფასებაც დაიმსახურეს. ასეთებია ო. ფიფია, ლ. ბახილაძე, ნ. კალანდაძე და სხვ. კარგად უპასუხეს სტუდენტებმა ო. ნიაძემ, გ. შოთაშვილმა და სხვ.

სურათზე: ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ო. ფიფია ხალხთა მეურნეობის დაგეგმვაში გამოცდას აბარებს პროფ. ა. გოკიელს.

ფაკულტეტის ღია პარტიულ კრებაზე

ამასწინათ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ღია პარტიულ კრებაზე განხილულ იქნა საკითხი პირველ სემესტრში ფაკულტეტზე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის მზადების შესახებ. როგორც მომხსენებელმა — ფაკულტეტის დეკანმა დოც. ალ. ასლანიკაშვილმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტს კარგი ტრადიციები აქვს. ფაკულტეტის მასწავლებელთა კოლექტივის დიდი ნაწილი, რომელიც მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა, ამ ფაკულტეტზევეა აღზრდილი. ეს ბევრ რამეს ავალებს სტუდენტებს. ისინი უნდა გაუფრთხილდნენ ამ სასახელო ტრადიციებს. მაგრამ მრავალრიცხოვან კარგ სტუდენტებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ცუდი ყოფაქცევით შეარცხვინეს ფაკულტეტი. სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელის გამო უნივერსიტეტიდან გაირიცხა მეორე კურსის სტუდენტი გ. მუჯირი. ამასთან, ფაკულტეტზე არიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებმაც დაუდევრობის გამო დროზე არ ჩაბარეს სასწავლო-საწარმოო და საწარმოო პრაქტიკის ანგარიშები. როგორც ამხ. ა. ვეკუამ აღნიშნა, არასაკმარო ხელმძღვანელობა ეწევათ გეოლოგიური სპეციალობის სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკის დროს, სადაც ხდება სადიპლომო შრომების შერჩევა.

გეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტების მიერ გეოლოგიური დისციპლინების შესწავლის აუცილებლობაზე ილაპარაკა დოც. ქ. ყავრიშვილმა.

კრებაზე აღინიშნა, რომ დადებითი შეფასება მიიღო სტუდენტთა სამეცნიერო წრეში რუსულ ენაზე წაკითხულმა მოხსენებებმა: „Минералы глин," „Марганцевые руды," „вулканизм," რომლებიც წაკითხულ იქნა სამეცნიერო წრის წევრების — სტუდენტების — ქ. გუგუშვილის, თ. ლაზარიშვილისა და გ. ყიფიანის მიერ. ამასთან დაკავშირებით, სტუდენტთა მიერ რუსული ენის უკეთ დაუფლების მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომებზე ცალკეულ მოხსენებათა რუსულ ენაზე წაკითხვა.

კრებაზე წამოჭრილი საკითხების ირგვლივ სიტყვებით გამოვიდნენ დოც. ნ. უკლება და ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი ამხ. ქ. ჯაყელი, სტუდენტი ზ. კაპანაძე და სხვ.

ფაკულტეტზე მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტზე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, გამოცდებზე სტუდენტთა მიმართ მეტი მოთხოვნების წაყენებას და ლიბერალიზმის ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრას.

რ. კვერენჩხილაძე

სტუდენტთა სამეცნიერო წრის კონფერენცია

გასული წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ისტორიის ფაკულტეტის საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ჩაატარა დეკაბრისტების აჯანყების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: „დეკემბრის აჯანყების 130 წლისთავი" (მომხსენებელი — IV კურსის სტუდენტი მ. კიკაჩეიშვილი), „დეკაბრისტების პროგრამა და ტაქტიკა" (მომხსენებელი — IV კურსის სტუდენტი გ. კრიხელი), „პესტელის «რუსული სამართალი»" (მომხსენებელი — III კურსის სტუდენტი თ. ტივაძე), „ნიკიტა მურავიოვის კონსტიტუცია" (მომხსენებელი — III კურსის სტუდენტი ე. ხუციშვილი).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგემ პროფ. გ. ხაჭაპურიძემ და საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მეცნიერ ხელმძღვანელმა დოცენტმა ი. ხუციშვილმა.

მ. კიკაჩეიშვილი

პრაქტიკა სახელმწიფო გამომცემლობაში

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტიკური, მხატვრული, დარგობრივი და სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურათა რედაქციების და საწარმოო განყოფილების მაგიდებთან ახალგაზრდა „მუშაკები" გამოჩნდნენ. გვერდით გამოცდილი რედაქტორები, განყოფილებების უფროსები უსხედან. მათ შორის გულისხმიერი საუბარია. არჩევენ გამოსაცემად მოსამზადებელ ლიტერატურას, იწერება რეცენზიები, ახალგაზრდები რედაქტორებს უწევენ ხელნაწერებს, სწავლობენ, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა ავტორთან, მთარგმნელთან.

ეს ახალგაზრდები ჩვენი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების III კურსის სტუდენტები არიან. საწარმოო პრაქტიკას ისინი სახელმწიფო გამომცემლობაში გადიან.

ამჯერად საწარმოო პრაქტიკა კარგად და მოფიქრებულად იქნა ორგანიზებული. ჯგუფის 20 სტუდენტი დანაწილებულ იქნა ხუთ ჯგუფად, თითოეული ჯგუფი მიმაგრებულ იქნა გარკვეული დარგის რედაქციაში.

პრაქტიკანტები ასრულებდნენ განყოფილების უფროსების დავალებებს.

აღსანიშნავია, რომ გამომცემლობის კოლექტივი მეტად გულთბილად და გულისხმიერად შეხვდა მომავალ ჟურნალისტებს. წაუყენეს მათ პასუხსაგები მოთხოვნილებანი და გააცნეს გამომცემლობის მუშაობის სპეციფიკური მხარეები.

პრაქტიკას სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი ამხ. გ. მერკვილაძე ხელმძღვანელობდა. იგი სისტემატურად ამოწმებდა და წარმართავდა ახალგაზრდების პრაქტიკულ მუშაობას. პერიოდულად ატარებდა საუბრებს სტუდენტებთან და ისმენდა მათ აზრს სხვადასხვა საკითხებზე.

პრაქტიკის მსვლელობის პერიოდში თითოეული სტუდენტი ადგენდა თავის საწარმოო პრაქტიკის დღიურს. „...მიხეილ ქვლივიძის ლექსების კრებულის რედაქტირება" „...გოგოლის „მკვდარი სულების" თარგმანის განხილვა". „...თარგმანზე მუშაობის წესების შესწავლა"... — ვკითხულობთ პრაქტიკანტ ალ. შენგელიას დღიურში. „...რეცენზია მეოთხე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოზე". „ტრაქტორისტის ცნობარის" რედაქტირება..." — აღნიშნულია ბორის გურგულიას დღიურში.

თვითეული პრაქტიკანტის დღიურში აღნუსხულია მისი მუშაობის პროცესი.

პრაქტიკა მაღალ დონეზე და ნაყოფიერად ჩატარდა.

კარგი იქნებოდა, რომ საწარმოო პრაქტიკის ვადა უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო, რათა უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეესწავლათ სტუდენტებს სახელმწიფო გამომცემლობის რთული და საინტერესო საქმიანობა.

გ. აბელიშვილი

წრის მორიგი ამოცანები

ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება.

წრის გამგეობის გადაწყვეტილებით მიმდინარე სასწავლო წელს მოეწყობა კონკურსი სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომებზე და ის სტუდენტები, რომელთა ნაშრომები საუკეთესოდ იქნებიან მიჩნეული, დაჯილდოებულ იქნებიან.

წრემ გამოუშვა სპეციალური „ბიულეტენი", მიძღვნილი დიდი რუსი ფიზიოლოგის სეჩენოვის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი.

დაარსებულ იქნა სტუდენტთა სამეცნიერო წრის ორგანო — ხელნაწერი ჟურნალი — „ახალგაზრდა ბიოლოგი", რომელიც პერიოდულად გამოვა. ამ ჟურნალში დაიბეჭდება სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომები. წრე უკვე მუშაობს ჟურნალის პირველი ნომრის გამოშვებაზე. ამ ნომერში, რომელიც მიძღვნილია ი. მიჩურინის დაბადების 100 წლისთავისადმი, უმთავრესად მოთავსებულ იქნება სტუდენტთა ის ნაშრომები, რომლებიც ამასწინათ იქნა წაკითხული ი. მიჩურინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე.

გადაწყვეტილია ჩატარდეს სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამსვლელი სესია ქუთაისში — პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან. ამ სესიაზე მოხსენებებით გამოვლენ როგორც ჩვენი უნივერსიტეტის, ისე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები. ორი უმაღლესი სასწავლებლის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები აქ ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებასაც.

სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე, შეფად აიყვანოს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტი და აქ საინტერესო მუშაობა ჩაატაროს წრის ნატურალისტებთან.

ნ. თოიძე

სტუდენტ გოგონას

თითქმის ყოველდღე გხედავ ერთ ადგილს,
საქმეში ჩაფლულს, შრომაში გართულს,
შენი მაგიდა სულ ერთი ადლი
წიგნებს უჭირავს, რუსულს თუ ქართულს.
ჩანს, რომ გიტაცებს მეცნიერება,
შენს შერკინებას წიგნთან რომ ვხედავ,
მჯამს, მასში ჰპოვე ბედნიერება,
მომავლის შუქი და ცოდნის დედა.
გულში სწავლის და შრომის წყურვილი
ჩემს იდეალად მუდამ მქონია,
მწვერვალისაკენ ამ გზით მეც ვიელი
და გავიმარჯვებ ასე მგონია.
ჩემთვის, აქ გულში, შეჯიბრში გიწვევ,
ვცდილობ ხუთები მამკობდეს მხოლოდ,
მსურს, სიყვარულსაც დაგუდო მტკიცე
ბურჯად შრომის და სწავლის სიმბოლო.

ვ. ტაბატაძე

პირველად ფაკულტეტზე

ლაბორანტმა დაიცვა დისერტაცია

ფეოდალურ საქართველოს საოჯახო სამართლის საკითხებს მიუძღვნა თავისი საკანდიდატო დისერტაცია იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის ლაბორანტმა ტ. ნადარეიშვილმა. ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ოფიციალურმა ოპონენტებმა პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილმა და დოც. ი. დოლიძემ მაღალი შეფასება მისცეს გ. ნადარეიშვილის დისერტაციას და ამასთან სასურველად ცნეს მისი ცალკე შრომის სახით გამოცემა. ეს შეფასება არაოფიციალურმა ოპონენტებმაც გაიზიარეს. ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მას ერთხმად მიანიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

იურიდიულ ფაკულტეტზე ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ლაბორანტმა სამეცნიერო ხარისხი დაიცვა.

გ. ტუღუშიძე

წერილი რედაქციას

ამ რამდენიმე ხნის წინათ გავეცანი გ. კაკიაშვილის წიგნს: „არსენა ქართულ ლიტერატურაში", რომელიც გამოსცა «ხელოვნებამ» 1955 წელს.

აქ არ ვეხები ამ წიგნის დახასიათებას, მსურს ავტორისა და მკითხველის ყურადღება მხოლოდ ორ გარემოებაზე შევაჩერო:

1) ავტორი ჩემს შესახებ წერს, რომ ა. ფანცხავამ 1952 წ. „საარქივო მასალა გამოაქვეყნა არსენა ოძელაშვილის შესახებ: 1823 წლის თბილისის მაზრის სოფ. მარაბდის კამერალური აღწერა (ამ აღწერაში ნაჩვენებია ოძელაშვილის ოჯახიც), 1837 წლის აგვისტოში არსენას ბოდბისხევში დაპატიმრება და 1842 წლის აგვისტოთი დათარიღებული დოკუმენტი, სადაც არსენა ოძელაშვილი დაღუპულად არის გამოცხადებული" (გვ. 4-5). მაგრამ ავტორი არ აკონკრეტებს ჩემს მიერ გამოქვეყნებულ ამ სამ საბუთს (არ მიუთითებს არქივის ფონდს, საქმის ნომერს, თარიღს). შემდეგ, ტექსტში მას მოჰყავს რა ეს სამი საბუთი, თვითონ იგი სქოლიოში (გვ. 14, 15, 20, 29) თავის მხრით უთითებს მათზე — არქივის ფონდის, საქმის ნომრისა და თარიღის აღნიშვნით და მხოლოდ ერთი საბუთის შესახებ წერს, რომ იგი პირველად ჩემს მიერ არის გამოქვეყნებული (გვ. 14), და ეს მაშინ, როცა დანარჩენი ორი საბუთის შესახებ ამას აღარ აღნიშნავს (გვ. 15, 20, 29). მე კი ვფიქრობ, რომ ავტორს ასევე გარკვევით უნდა აღენიშნა ამ ორი საბუთის შესახებაც.

2) ავტორი ასახელებს ამ საკითხზე ჩემს მხოლოდ ერთ წერილს, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „ზარია ვოსტოკაში" (1952 წ. № 237, 29/X), ხოლო არ ასახელებს უნივერსიტეტის გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელში" გამოქვეყნებულ ჩემს მეორე წერილს (იხ. გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი", 1953 წლის 25 ივნისის № 24-ში დაბეჭდილი წერილი — „ზოგიერთი ისტორიული დოკუმენტი არსენა ოძელაშვილის შესახებ"), რომელშიაც ეს სამი საბუთი კიდევ უფრო ვრცლად მაქვს განხილული. ეს საარქივო საბუთები, რომლებიც ჩემს მიერ იქნა გამოვლინებული საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში ჩემს სამეცნიერო თემაზე მუშაობის დროს (1. ფონდი № 254, საქმე № 610, 1823 წ.; 2. ფონდი № 16, საქმე № 5410, 1837 წ.; 3. ფონდი № 16, საქმე № 7097, 1842 წ.), ამტკიცებენ არსენა ოძელაშვილის ვინაობას, მისი დაბადების, დაპატიმრებისა (ბოდბისხევში) და მოკვლის თარიღებს, მისი მამისა და პაპის სახელებს, აგრეთვე იმას, თუ ვისი ყმა იყო იგი.

დასახელებული წიგნის ავტორი წერს, რომ „უკანასკნელ დრომდე თითქმის არავითარი ოფიციალური საბუთები არ მოიპოვებოდა არსენას ცხოვრება-საქმიანობის შესახებ და ის, რაც ვიცოდით მხოლოდ და მხოლოდ ზეპირ გადმოცემაზე და სახალხო მოგონებებზე იყო დამყარებული" (გვ. 4).

რამდენადაც ვიცით, ამ ზემოდასახელებული სამი საარქივო საბუთის გარდა სხვა საარქივო დოკუმენტი, რომელშიაც არსენა ოძელაშვილის სახელი იყოს აღნიშნული, დღემდე არ არის მიკვლეული და გამოქვეყნებული და, რაკი ასეა, ვერც წიგნის ავტორი ასახელებს მათ. ამიტომ ავტორს პირდაპირ, გარკვევით და მკაფიოდ უნდა აღენიშნა ამ სამი საბუთის მნიშვნელობისა და მათი გამოქვეყნების შესახებ.

გამოვთქვამ რწმენას, რომ შემდეგ, სათანადო შემთხვევაში ავტორი ამას გაითვალისწინებს.

პროფ. ა. ფანცხავა

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

უნივერსიტეტის „შრომების“ 56-ე ტომი

გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსის, პროფესორ ანდრია რაზმაძის გარდაცვალების 25 წლისთავთან დაკავშირებით დასახულ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი იყო ა. რაზმაძისადმი მიძღვნილი შრომების კრებულის გამოცემა. ეს კრებული ახლახან გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომების“ 56-ე ტომის სახით (მთავარი რედაქტორი პროფ. ვ. კუპრაძე).

წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ აქ მოთავსებული სტატიების გამოქვეყნებით ავტორები გამოხატავენ თავის ღრმა პატივისცემას დიდი მეცნიერისა და მოქალაქის ხსოვნისადმი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მშობლიური მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს შესწირა.

პროფ. ა. ხარაძემ, რომელსაც წლების განმავლობაში ა. რაზმაძის გვერდით უხდებოდა მოღვაწეობა საქართველოში მათემატიკურ მეცნიერებათა დანერგვის კეთილშობილურ საქმეში, თავის შრომაში მოგვცა სიმპსონის ფორმულის განზოგადება.

ა. რაზმაძის მოწაფის, პროფ. ლ. გოკიელის შრომაში — „ელემენტარული და უმაღლესი მათემატიკის ურთიერთმიმართების საკითხებისათვის“ — აღებული საკითხი განხილულია როგორც ისტორიულ, ისე ლოღიკურ ასპექტში და მითითებულია იმ ნიშანზე, რომელიც ელემენტარულ და უმაღლეს მათემატიკას შორის არსებულ განსხვავებას გამოხატავს.

ა. რაზმაძის მოწაფემ, პროფ. ვლ. ჭელიძემ თავის შრომაში ორმაგი მწკრივების შეჯამებადობის საკითხზე მიიღო შედეგები, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებულ დღემდე ცნობილ ყველა შედეგს კერძო შემთხვევის სახით შეიცავენ.

პროფ. ა. ჩახტაურმა ერთი გეომეტრიული საკითხის შესწავლის დროს მიიღო პირობები, რომლებიც აზასიათებენ ე. წ. ლიუვილის ზედაპირებს.

დოც. ე. მჭედლიშვილმა თავის შრომაში მოგვცა ცენტრალური დაგეგმილების ძირითადი თეორემის ელემენტარული დამტკიცება, რომელიც მხოლოდ ბრტყელი ველების გეგმილურ თანადობას ეყრდნობა.

პროფ. ე. წითლანაძემ ვარიაციული ტიპის ერთი კლასის არაწრფივი ოპერატორებისათვის შეისწავლა ამოხსნის არსებობის თეორემა გარკვეულ პირობებში.

პროფ. ნ. ვეკუამ განიხილა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის ერთი სასაზღვრო ამოცანა, რომელიც წარმოადგენს ჰილბერტისა და ჰაზემანის კარგად ცნობილი ზოგიერთი ამოცანის გარკვეულ განზოგადებას.

დოც. პ. ზერაგიამ განზოგადებულ პოტენციალთა თეორია გამოიყენა პარაბოლური ტიპის დიფერენციალური განტოლების სასაზღვრო ამოცანების ამოსახსნელად.

დოც. ლ. მაღნარაძემ მოგვცა ა. რაზმაძის ერთი თეორემის განზოგადებანი სტილტიესის, ლებეგისა და დანჟუა-ხინჩინის ინტეგრალებისათვის.

დოც. პ. კოლონიას შრომაში განხილულია ე. წ. მარკოვის „განზოგადებულ რიცხვთა“ თეორიის ერთი სპეციალური საკითხი.

პროფ. ვლ. ჭელიძისა და დოც. ნ. თევზაძის ერთობლივ შრომაში მოცემულია უსასრულო ორმაგი ნამრავლის შესახებ რიგი თეორემებისა, რომლებიც უსასრულო ნამრავლთა თეორიის ცნობილ დებულებათა განზოგადებას წარმოადგენენ ორმაგი ნამრავლისათვის.

კრებულში ფართოდ არის წარმოდგენილი ახალგაზრდა მათემატიკოსები — დოც. ნ. კახნიაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები — გ. ალექსანდრია, გ. თევზაძე, თ. გეგელია და მ. ცანდეკოვი. გ. თევზაძემ, თ. გეგელიამ და მ. ცანდეკოვმა თავის შრომებში გადმოსცეს ძირითადი შინაარსი საკანდიდატო დისერტაციებისა, რომელნიც თავის დროზე წარმატებით იყო დაცული მათ მიერ.

თ. ებანოიძე

სტუდენტთა საკურსო გამოცდებისა და ჩაბარების მეთოდიკის საკითხები

უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა დოც. გ. კიკნაძის ნაშრომი—სტუდენტთა საკურსო გამოცდებისა და ჩათვლების მეთოდიკის საკითხები. წიგნში განხილულია საკითხები: გამოცდებისა და ჩათვლების მნიშვნელობა, საკურსო გამოცდების მოსამზადებელი პერიოდი, საკურსო გამოცდების ჩატარება, საკურსო გამოცდების შედეგების შეჯამება, საკურსო ჩათვლა.

წიგნს დართული აქვს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულება უმაღლეს სასწავლებლებში საკურსო გამოცდებისა და ჩათვლების შესახებ.

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო ს ა ღ ა მ ო

10 იანვარს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე (უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში) ზეიმით აღინიშნა ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის გამგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ნიკოლოზის-ძე გეხტმანის დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ვ. კუპრაძემ. მოხსენება პროფ. გ. ნ. გეხტმანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დოც. გ. ხარაძიშვილმა.

იუბილარს მიესალმნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები, აგრეთვე თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გეოგრაფიულ კაბინეტში გაერთიანებული ნორჩი პიონერები.

მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები: ალ. ჯავახიშვილი, ტ. ათაბეგოვი, ალ. ფირცხალაიშვილი, პ. გუგუშვილი; დოცენტი ირ. მიქელაძე; სკოლის მასწავლებელი ა. აზატიანი და სხვები

ი. ჭაჭაიაშვილი

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი

⊙

პროფ. გ. გეხტმანის დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი

⊙

მიმდინარე წლის 10 იანვარს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ აღნიშნა უნივერსიტეტის მხცოვანი პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ნიკოლოზის-ძე გეხტმანის დაბადებიდან 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი.

საქართველოს საზოგადოებრიობა პროფ. გ. გეხტმანს იცნობს, როგორც ცნობილ მეცნიერს, ნიჭიერ პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც 60 წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იგი მრავალი მეცნიერული შრომის ავტორი და რედაქტორია. მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა, სისტემატური და ნაყოფიერი შრომა მისაბაძი მაგალითია ჩვენი მომავალი თაობისათვის.

გ. გეხტმანი დაიბადა 1870 წლის 2 სექტემბერს ქ. ქუთაისში. მისი დედა მანანა, იყო ცნობილი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის დის ბარბარე ჯორჯაძის ასული.

1890 წელს გ. გეხტმანმა დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან იგი ხარკოვის უნივერსიტეტში გადმოვიდა და იგი 1895 წელს დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომითა და ვერცხლის მედლით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გ. გეხტმანი თბილისში დაბრუნდა და აქ დაიწყო პედაგოგიური მუშაობა ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად გ. გეხტმანი საზოგადოებრივ-სამეცნიერო მუშაობასაც ეწევა თბილისის ქალთა საზოგადოებაში და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობს სკოლის გარეშე განათლების თბილისის საზოგადოებაში, როგორც დასავლეთ ევროპის ეკონომიური ისტორიის ლექტორი.

1903 წლიდან გ. გეხტმანი მონაწილეობს „კავკასიის მასწავლებელთა კავშირის“ წრის მუშაობაში. ამავე წელს იგი არჩეულ იქნა აღნიშნული კავშირის თბილისის საბჭოს თავმჯდომარედ.

1907 წელს მოსწავლეთა და მასწავლებელთა სურვილების შესაბამისად გ. გეხტმანი არჩეულ და დანიშნულ იქნა თბილისის პირველი კომერციული სასწავლებლის დირექტორად. მანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში ქალთა უმაღლესი კურსების გახსნის საქმეში. სადაც ჯერ ისტორია-სიტყვიერების ფაკულტეტის პრივატ-დოცენტად მუშაობდა, ხოლო შემდეგ ამავე ფაკულტეტის დეკანად (1914 წლამდე).

1918 წელს გ. გეხტმანმა მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში, აქ იგი მიწვეულ იქნა პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე, შემდეგ ინსტიტუტის საბჭომ იგი აირჩია ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის დოცენტად, ხოლო 1922 წელს ამავე ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორად.

1922 წლის 20 ოქტომბერს გ. გეხტმანი სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე წარმატებით აბარებს სადოქტორანტო გამოცდებს პოლიტიკურ ეკონომიასა და სამეურნეო გეოგრაფიაში, რის საფუძველზე უნივერსიტეტის საბჭომ ერთხმად აირჩია იგი ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის დოცენტად. უფრო გვიან კი — ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის გამგედ, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს.

უნივერსიტეტში მუშაობასთან ერთად პროფ. გ. გეხტმანი აღნიშნულ პერიოდში ლექციებს კითხულობს ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტშიც, ხოლო 1933—1936 წლებში იგი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პროფესორი ეკონომიურ გეოგრაფიაში.

რიგი წლების მანძილზე პროფ. გ. გეხტმანი ხელმძღვანელობს ასპირანტების აღზრდას ეკონომიურ გეოგრაფიაში. მან დიდი ღვაწლი მიუძღვის გეოგრაფიული მეცნიერების კადრების მომზადების დარგში, გარდა ჩვენი რესპუბლიკის ასპირანტებისა, იგი ზრდიდა მოძმე რესპუბლიკების (რსფსრ, სომხეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ) მომავალ მეცნიერ კადრებს გეოგრაფიაში.

პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად პროფ. გ. გეხტმანი ეწეოდა და დღესაც ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. ამ მიზნით მან მოიარა და შეისწავლა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის თითქმის ყოველი კუთხე, საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიის ეკონომიურ-გეოგრაფიულ შესწავლას და გახდა ამ საქმის პიონერი.

პროფ. გ. გეხტმანი პიონერად გვევლინება აგრეთვე მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფიის საკითხების დამუშავებაში ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩაუყარა რა მტკიცე საფუძველი აღნიშნული საკითხების დამუშავებას, 1925 წელს გამოაქვეყნა შრომა „მსოფლიოს ეკონომიური გეოგრაფია“. აღნიშნული წიგნის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში. გარდა ამისა, პროფ. გ. გეხტმანის ავტორობით რუსულ და ქართულ ენებზე ქვეყნდება რიგი სახელმძღვანელოებისა, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ხასიათის შრომებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კაპიტალური შრომა, „ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან“, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა, მისი დაბადების 85 წლისთავზე. პროფ. გ. გეხტმანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი მეცნიერული სტატია, პედაგოგიურ-მეთოდური წერილი, საენციკლოპედიო სტატია, რეცენზია, კრიტიკული ნარკვევი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, საჟურნალო და საგაზეთო სტატია და ა. შ. პროფ. გ. გეხტმანის დაბეჭდილი და დაბეჭდილი სამეცნიერო შრომების რაოდენობა 100-ზე მეტია.

პროფ. გ. გეხტმანი ცნობილია, როგორც მრავალი სამეცნიერო, და პედაგოგიური შრომის რედაქტორი. იგი ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია ცნობილი ქართული საბავშვო ჟურნალის „ნაკადულისა“, რომლის რედაქციის წევრადაც იგი ერთხანს მუშაობდა. პროფ. გ. გეხტმანი ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და პიონერების საყვარელი ადამიანია, რომელთაც მას არაერთხელ მოუწყვს შეხვედრა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

პროფ. გ. გეხტმანი დიდ დახმარებას უწევდა და უწევს საშუალო სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. იგი იყო საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. ის დღესაც მჭიდრო კავშირშია პედაგოგიური ინსტიტუტების გეოგრაფიის სპეციალისტებთან და დიდ დახმარებას უწევს მათ. გარდა ამისა, იგი ცნობილია, როგორც საუკეთესო ბიბლიოგრაფი, გეოგრაფიის, ისტორიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურისა და სხვა დარგების ლიტერატურისმცოდნე. წიგნებისადმი და საბიბლიოთეკო საქმისადმი დიდი სიყვარულით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ იგი ცხრა წლის მანძილზე (1921—1930) მუშაობდა თბილისის აკადემიური ბიბლიოთეკის და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად. აღსანიშნავია, რომ მან თავისი პირადი ბიბლიოთეკის ფონდიდან მნიშვნელოვანი წილი გადასცა საჯარო ბიბლიოთეკისათვის, რისთვისაც მადლობა გამოეცხადა ჰრესის საშუალებით.

განსაკუთრებით დიდია პროფ. გ. გეხტმანის დამსახურება გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე. იგი ამ საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელია და 1924 წლიდან აქტიურ მუშაობას ეწევა ამავე საზოგადოებაში, როგორც საბჭოს წევრი, პრეზიდიუმის წევრი, ტრიბის თავმჯდომარის მოადგილე, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, საზოგადოების სამეცნიერო შრომების რეცენზენტი და რედაქტორი.

პროფ. გ. გეხტმანის უანგარო სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი დამსახურება სათანადოდ დააფასა მშობლიურმა საბჭოთა ხელისუფლებამ. გეოგრაფიულ და ეკონომიურ მეცნიერებათა დარგში გაწეული ნაყოფიერი შრომისათვის 1940 წლის 16 აპრილს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მას ერთხმად მიანიჭა გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1940 წელს მეცნიერების დარგში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ მთავრობამ მას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება მიანიჭა, ხოლო 1953 წელს, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

პროფ. გ. გეხტმანი დღესაც ჩვეული ენთუზიაზმით განაგრძობს ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ამჟამად ჩვენს უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს ეკონომიური გეოგრაფიის სპეციალობის ხუთ ასპირანტს. მისი ლექციები დღესაც საინტერესო და ჰამზიდველია. დაუშრეტელი ენერგიითა და მუყაითი შრომით დაუღალავად ქმნის მაღალნაყოფიერ მეცნიერულ პროდუქციას.

ასეთია 85 წლის მხცოვანი მეცნიერის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ეკონომიური გეოგრაფიის სკოლის შემქმნელის, პროფესორ გიორგი ნიკოლოზის-ძე გეხტმანის ცხოვრებისა და შრომის ღირსშესანიშნავი გზა.

დოც. გ. ხარაძიშვილი

„მე-5 ინტერნაციონალურის" დღიური

ლენინგრადის უნივერსიტეტში

ახლა, 1956 წლის წინადღეს. წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც II კურსის მე-5 რუსული ჯგუფი პირველად შეიკრიბა 1954 წლის სექტემბერში... იგი, ვინც ამ ჯგუფის ყველა წევრს, ყოველთვის ერთად ხედავს ლექციებზე, იტყვის: „მეგობრული, საინტერესო ჯგუფია!" ხოლო ვინც თვითონ სწავლობს ამ ჯგუფში, მას «მე-5 ინტერნაციონალურს» უწოდებს.

რუდი კოჩიალის შესახებ, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოვიდა, ჯგუფში სიყვარულით ლაპარაკობენ: „ჩვენი მოძრავი ენციკლოპედიაა!". მართლაც, რა საკითხსაც არ უნდა შეეხოთ, რუდიმ ყველაფერი იცის.

ჩან-ფუ იანი ქარხანაში მუშაობდა, ხოლო იუე დუ-ლიანი ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის რიგებში იბრძოდა. ახლა კი ისინი ორივენი გულმოდგინედ სწავლობენ რუსულ ენას, მეცადინეობენ რუსული ლიტერატურის წრეში.

კორეელ ტიუეერი (?) იესოსილკაკიოდისა- რუსული ენის სუსტად ცოდნის გამო მას უჭირს სწავლა. მაგრამ კარლს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რათა დაეწიოს ამხანაგებს.

ჰერმან ოიხინი ძველი რუსული ლიტერატურის ძეგლებისადმი სერიოზულ ინტერესს ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მეშვიდე კლასში იჩენდა. მან დამოუკიდებლად შეისწავლა „იგორის ლაშქრობის" თარგმანის ექვსი ვარიანტი.

ჯგუფის ყველა წევრი ასრულებს რამე საზოგადოებრივ საქმეს. ლენა რომოდანოვსკაია და ელია ტრიზნო ფაკულტეტის ბიუროს წევრები არიან, ტაია პოკიდიშევა ჯგუფის კომორგია, პოლინელი ანია მიკა ჯგუფხელია, ერნა ზელობინა — პროფბიუროს წევრია, ლიდა კიშკინა საზღვარგარეთთან არსებული საშეფო ბრიგადის ბრიგადირია, ლუსია სმირნოვა ფაკულტეტის ლექტორთა ჯგუფში შედის, ნინა სტოლიაროვა კი ლისაიფის რწმუნებულია.

რუსები, ჩინელები, პოლონელები, ჩეხები, ბულგარელები, იაკუტები და გერმანელები ამ ჯგუფში ერთიან ოჯახს ქმნიან.

როგორ ცხოვრობს, რას აკეთებს ჯგუფის კოლექტივი?

მოდი და გადავხედოთ ჯგუფის დღიურს:

„აპრილია... მოფრინდნენ ფრინველები, გაპრანჭა თეთრ-ყვავილა, მზე სასიამოვნოდ ათბობს, ნევაზე ყინულმა მუქი ფერი მიიღო, ცა გადაღურჯდა, როგორც ეს გაზაფხულზე ხდება ხოლმე. სულსა და გულს უხარია, ლაღავს... მაშინ, ფრინველები რომ ბრუნდებოდნენ, მეათეკლასელები ვიყავით, ახლა კი უნივერსიტეტის სტუდენტები ვართ... დღეს საკურსო კომკავშირული კრება იყო ახალი და მორიგი პერსპექტივების შესახებ. კარგი თემაა. ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავე იმაში, რომ ფაკულტეტზე ხშირად მოწყენილობა იგრძნობა, რომ ნამდვილი კომკავშირული კოლექტივი ჯერ კიდევ არაა შექმნილი..."

„ვიყავით კვირაობაზე. გამოგვქონდა თოვლი მთავარი კორპუსის ეზოდან. ახლა ეზოს ნახევარი უკვე გაწმენდილია. მან ძალიან ცოტა სახე მიიღო და თითქოს გადიდდა კიდეც... სიამოვნებას გვგვრის, როცა ტკბილად მოსაგონარს გააკეთებ და დასტოვებ რასმე — თუნდაც გაწმენდილი ეზოს სახით".

„მოდით და დღიურში დავკუსია ვეკამათოთ: რა არის ბედნიერება? შეიძლება თუ არა ადამიანი ბედნიერი იყოს ურთიერთი სიყვარულის გარეშე?... ძალიან კარგი იქნება, რომ თვითეულმა თავისი აზრი ჩაწეროს. მხოლოდ გულახდილად და დაუზარებლად!"

ეს «მოწოდება» ყველას გულის სიღრმეში ჩაწვდა, მოიგონდათ მათ ის, რაზედაც ბევრი უფიქრიათ და პირადმა პასუხი ვერ გაუციათ და აი, — «ჯგუფის მატიანეში» გაჩაღებულია ცოცხალი, ცხარე კამათი ბედნიერების შესახებ, ცხოვრების ფერხულში თვითეულის ადგილის შესახებ.

სიყვარულზე პირველ პირში ცოტაა დაწერილი, მეტია მაგალითები ლიტერატურიდან, ასე უთქვამს, კამათი «თეორიული». კითხულობ და გრძნობ, როგორ აზროვნებს მთელი კოლექტივი, როგორ ეძებს სწორ პასუხს.

„...ადამიანი ბედნიერია, თუ მას პერსპექტივა აქვს, კარგი, რა თქმა უნდა, და მთელი ძალ-ღონით, ყველა სიძნელეების გადალახვით აღწევს მის განხორციელებას. ურთიერთ სიყვარული, ჩემი აზრით, მხოლოდ ავსებს „ბედნიერებას". მაგრამ უიმისოდაც შეიძლება ბედნიერი იყოს ადამიანი".

ყველას თავისი აზრი აქვს ცხოვრებაზე, ბედნიერებაზე. ლ. ქ. წერს ლექსებს, რომლებზედაც „მთელი რეცენზია" იწერება. აი ნაწყვეტი ერთ-ერთი რეცენზიიდან: „არ მომწონს შენი ტრაფარეტული «მტილი», მე მესმის, რომ შენ მათ წერდი, როცა მძიმე განცდებში იყავი, მაგრამ საჭიროა არა ოხვრა, არამედ თავის საქციელის ანალიზის „გაკეთება!", ჩვენი ლექსებია, წერს ჟ. ა. მათში ხოცემულია ლა სულიერი განწყობილება. აქედან მომდინარეობს «უნაყოფო ოცნებანიც» და «დაკარგული იმედებიც». გირჩევ სერიოზულად ჩაუფიქრდე ამ «წვრილმანებს», აიძულე თავი, რომ უკეთ იმეცადინო, მეტი გულმოდგინებით. გამოცდები კარგებზე და ფრიადებზე ჩააბარე. მე მგონია აგრეთვე, რომ შენ მეტად მსუბუქად უყურებ ცხოვრებას, ზერელედ უდგები მოვლენებს. ეს სერიოზული საკითხია: ეცადე დროზე უკუაგდო ასეთი ხასიათი, თორემ იგი მტკიცედ რომ გამოგიმუშავდეს შეიძლება მთელი სიცოცხლის მანძილზე შეგრჩეს. მეტ ხანს იყავი ჯგუფთან, მხოლოდ ერთად მუშაობაში შეგიძლია საკუთარი ძალის გრძნობა. დაწერე იმის შესახებ, რაშიაც არ მეთანხმები, ანდა რა მიგაჩნია სწორად".

„აგუშინ ჩვენს «საშეფო პატარებთან» (I-II კლასების ბიჭუნებთან) ერთად ვიყავით ზოოპარკში. ძალიან ვმღელვარებდით, როგორი «აღმზრდელები» გამოვა ჩვენგან. რა მოუსვენრები არიან ბავშვები! ყოველთვის რაიმე იპყრობს მათს ყურადღებას და, ჩვენი მრისხანე შეძახილების მიუხედავად, მირბიან, საითაც მოეპრიანებათ. ერთი ბიჭუნა კიდეც დაგვეკარგა. გამოველით საზეპლოტოდან და აღარ არის ვიტკა! გავეშურეთ მის მოსაძებნად, მაგრამ ბოლოს თვითონ მოუთითა. დიდხანს ვიდექით სპილოებთან, თვალდაჭყეტილი შევცქეროდით ლომის ლეკვს, რომელსაც დღეს ზუსტად ერთი წელი შეუსრულდა. ბავშვებიც კმაყოფილნი დარჩნენ და ჩვენც".

უკვე მთავრდება დღიურის «პირველი ტომი», მაგრამ დავა ბედნიერების შესახებ არ ცხრება. ხედავთ ხოლმე უშნო, გაკრული ხელით ნაწერსაც, რომლებ-

მოძმე რესპუბლიკების სტუდენტთა ცხოვრება

შიაც სტუდენტების საკუთარი ნააზრევია გადმოცემული. მათში მთავარ აზრებს მუქი ხაზი აქვს გასმული. „...უნივერსიტეტში ჩვენ უნდა გავარკვიოთ ჩვენი გზა, მოვძებნოთ მთავარი ხაზი, რომელსაც გავყვებით მთელი სიცოცხლის მანძილზე. ის, ვინც გზას სწორად განსაზღვრავს, მერყევი არ იქნება, არ ილაპარაკებს ტრიბუნიდან ერთს, თავისთვის კი მეორეს. და მხოლოდ ასეთ ადამიანთა შორის შეიძლება წარმოიშვას ნამდვილი მეგობრობა, დაფუძნებული არა მარტო კინოს ნახვაზე, არამედ შემოქმედებით საქმიანობაზე".

გასულ ზაფხულს ჯგუფის ნახევარი სტუდენტურ მშენებლობაზე იყო. ვერაფერი ისე ვერ რაზმავს და ამჭიდროებს ადამიანებს, როგორც ერთსულოვანი მშენებელთა კოლექტივი.

ერთხელ, როცა დაღლილნი და მოშიებულნი სასადილოდ წავიდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიიჭრა მათთან: ტყე იწვის, საჭიროა დახმარება! მის გაგონებაზე მათ დაივიწყეს დაღლილობა, დაივიწყეს სადილიც. ხელი სტაცეს ნაჯახებს და ნიჩბებს. ერთ წუთში თვითმცლელ მანქანაზე დასხდნენ. აი ხანძრის ადგილიც: ალი გარს ეხვევა და ელქუნება ფიჭვის ხეებს, ტკაცა-ტკაცი გააქვს ცეცხლში გახვეულ ხმელ ტოტებს, «ქაჯებივით» მუშაობდნენ მშენებლები... თითქოს და მათ დასახმარებლად მოვიდა ჭეშმარიტად «ტროპიკული» კოკისპირული წვიმაც... ცეცხლი ჩამქრალია!.. მაგრამ კარგს ავიც მოსდევს ხოლმე! სად უნდა შეეფარებინათ თავი კოკისპირული წვიმისაგან? გამურულებმა და გაჭვარტლულებმა თავს უშველეს... ტბაში!...

შესანიშნავი იყო ტყის მჩეხავთა ბრიგადა. მის რიგებში იყვნენ იუე დუნ-ლინი, ნინა სტოლიაროვა, ლუსია სუხინი, ტაია პოკიდიშევა.

ჯგუფიდან ექვსი კაცი საპატიო სიგელებით დასაჯილდოვებლად იქნა წარდგენილი მშენებლობაზე კარგი მუშაობისათვის.

...მალე გამოცდები დაიწყება, — ეს იგრძნობა დღიურშიც. იგრძნობა, რომ «კურსი სესიებისაკენ» სერიოზულად არის აღებული.

„ძალზე სასურველია, გავიგოთ თვითეულისაგან, რაა წაკითხული სასწავლო ლიტერატურიდან, ვინ როგორ ემზადება გამოცდებისათვის. როგორ ძლიერ ემზადება ფუ-ინი! — იმ აზრით კი არა, რომ მან უკვე ბევრი წაიკითხა, არამედ იმ აზრით, თუ როგორ სძლევს მასალას სტრიქონიდან-სტრიქონამდე, გვერდიდან გვერდამდე. უბრალო საქმე ხომ არ არის მისთვის — იკითხოს და დაამუშაოს წიგნები რუსულ ენაზე! შემდეგ, მე ძალზე მომწონს მისი უნარი, თვითეულ წუთს ანგარიშს უწევს. ეს რაღაც შესანიშნავი, არაჩვეულებრივი თვისებაა. და ამის შედეგად მას ჰყოფნის დრო როგორც მეცადინეობისათვის, ისე რომანის, თეატრისა და კინოსათვის. იგი ყველაფერს ასწრებს და თანაც — ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე..."

* * *

დიახ, მეგობრული, საუკეთესო ჯგუფია! კითხულობ დღიურს და გრძნობ, რამდენ გულთბილობას იჩენენ ერთმანეთისადმი ჯგუფში. და ეს ხელს არ უშლის მათ ერთმანეთის გაკრიტიკებაში.

ხურავ დღიურის „ტომებს" და შენთვის ნათელი ხდება, რომ ახალ წელს «მე-5 ინტერნაციონალური» ჯგუფი წარმატებებით ხვდება, ისე როგორც ერთსულოვან კოლექტივს შეეფერის.

სიცოცხლე ჩქეფს ამ კოლექტივში.

ო. დრონოვა

გაზ. „ლენინგრადსკი უნივერსიტეტ".

სპორტის ამბები

ძალოსანთა შეჯიბრება

ამასწინათ უნივერსიტეტის ძალოსნობის დარბაზში ჩატარდა ძალოსნების შეჯიბრება რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გეოგრაფია-გეოლოგიის, ეკონომიური და ფილოლოგიური ფაკულტეტების გუნდებმა, აგრეთვე ისტორიის, ფიზიკისა და სხვა ფაკულტეტების ძალოსნებმა ცალკეულ წონით კატეგორიებში.

შეჯიბრებაში გაიმარჯვა და პირველ ადგილზე გავიდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ძალოსანთა გუნდი.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს და პირველი ადგილები მოიპოვეს: მჩატე წონაში — გ. ჯავრიშვილმა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი) — 222,5 კგ; ქვემსუბუქ წონაში — გ. ჭეიშვილმა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი) — 222,5 კგ; მსუბუქ წონაში — გ. გიორგაძემ (ისტორიის ფაკულტეტი) — 260 კგ; ქვესაშუალო წონაში — მ. ჭიჭინაძემ (ფილოლოგიის ფაკულტეტი) — 275 კგ; ქვემძიმე წონაში — ზ. გონაძემ (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი) — 257,5 კგ; მძიმე წონაში — ნ. დუჩიძემ (ეკონომიური ფაკულტეტი) — 255 კგ.

ამ შეჯიბრებაში ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ძალოსანმა ტ. ცერალოვმა (მსუბუქი წონა) ორი ხელით აჭიმა 100 კგ. რითაც გააუმჯობესა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს და აგრეთვე საუნივერსიტეტო რეკორდები, რომლებიც მის მიერვე იყო დამყარებული. მანვე ორი ხელით აიტაცა 95 კგ, რითაც დაამყარა ახალი საუნივერსიტეტო რეკორდი.

შეჯიბრებაში 7-მა ძალოსანმა ჩააბარა საკავშირო საკლასიფიკაციო ნორმატივები, მათ შორის ერთმა — მეორე თანრიგისა და ექვსმა — მესამე თანრიგისა. შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გადაეცათ სპორტკლუბის სიგელები.

ა. ხაუტაშვილი,
უფროსი მასწავლებელი.

იცი თუ არა შენ, რომ

...ნებისმიერი რიცხვების აღსანიშნავად ასოები პირველად შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა ვიეტამ (1591 წ.).

...„+" და „—" შემოღებულია გერმანელი მათემატიკოსის ვიდმანის მიერ 1489 წელს.

...ტოლობის აღსანიშნავად ინგლისელმა ალგებრაისტმა რეკორდიმ 1557 წ. შემოიღო ნიშანი „=", რადგან, როგორც იგი ამბობდა, „არაფერი სხვა არ შეიძლება იყოს უფრო ზედმიწევნით ტოლი, ვიდრე ტოლი სიგრძის ორი პარალელური ხაზი"-ო.

...ინგლისელმა მათემატიკოსმა ხერიოტამ შემოიღო ნიშნები „<", „>" (1631 წ.) და წერტილი გამრავლების ნიშნად.

...გერმანელმა ლეიბნიცმა 1694 წ. პირველად იხმარა ნიშანი „:" გაყოფის აღსანიშნავად, მანამდის კი სარგებლობდნენ მხოლოდ ჰორიზონტალური ხაზით.

...— ფრჩხილები „{ }", „[ ]", „( )" გვხვდება პირველად ფლამანდიელი მათემატიკოსის ჟირარის შრომებში (1629 წ.).

...უარყოფითი რიცხვები გვხვდება უკვე საბერძნეთის მათემატიკოსის დიოფანტეს ნაწერებში (ძველი წელთაღრიცხვით IV ს.). იგი მათ უწოდებდა „დაუშვებელ" რიცხვებს, ხოლო მათემატიკოსი შტიფელი უარყოფით რიცხვებს უწოდებდა „უაზრო" რიცხვებს (XVI ს.).

გეოგრაფის ბლოკნოტიდან

ახლო მომავალში სსრ კავშირის რუკაზე გაქრება ზაისანის ტბა, რომელიც ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მდებარეობს ალტაისა და ტარბაგატაის მთათაშორის დადაბლებაში, ზღვის დონიდან 386 მ სიმაღლეზე.

ამ ტბის სიგრძე 100 კილომეტრია, ხოლო სიგანე ზოგ ადგილზე 30 კმ-მდე, ფართობი კი დაახლოვებით 1800 კვ კმ-მდე აღწევს. ამ ტბაში ჩამავალ მდინარეთა შორის ყველაზე დიდია შავი ირტიში, რომელიც შესართავთან დაჭაობებულ დელტას ქმნის. ზაისანის ტბიდან გამოედინება მდ. ირტიში, რომელსაც მარჯვნივ, ქ. უსტ-ბუხტარმასთან მდ. ბუხტარმა ერთვის. მდ. ირტიშზე, იქ, სადაც მას მდ. ბუხტარმა ერთვის, დაწყებულია დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ბუხტარმის ჰიდროელექტროსადგური ელექტროენერგიას მიაწვდის ალტაის მხარეს, სადაც იგი გამოყენებული იქნება ამ მხარის მდიდარი მთა-

ბუხტარმის „ზღვა"

მადნეულის დამუშავებასა და სოფლის მეურნეობაში (როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროს აქ ათვისებულია ყამირი მიწების უზარმაზარი ფართობები).

ბუხტარმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით გაქრება ზაისანის ტბა. ეს იმას ნიშნავს, რომ ზაისანის ტბა მოექცევა ხელოვნურ წყალსაცავში და შეიქმნება „ბუხტარმის ზღვა". ამ ზღვის სიგრძე 600 კილომეტრი იქნება, რაც დაახლოებით ევროპისა და აზიის უდიდესი მტკნარი ტბის — ბაიკალის სიგრძის ტოლია.

ეს „ზღვა" უზრუნველყოფს არა მარტო ბუხტარმის ჰიდროელექტროსადგურის, არამედ უსტ-კამენოგორსკის და მომავალში მდ. ირტიშის კასკადზე აგებული სხვა ჰიდროელექტროსადგურების განუწყვეტელ მუშაობას.

ლ. ილაშვილი

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 8-28-86.

ე. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 00767